**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**
**წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)**
**დადგენილება № 01-06-02/47**

ქ. თბილისი 3 ივლისი 2019

## ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის განკარგვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 85-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქ. ქოქრაშვილის 2019 წლის 01 ივლისის №882270 წერილის, სტუ-ის 2019 წლის 20 ივნისის №01-09-10/146 ბრძანებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 3 ივლისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი ძირითადი აქტივების და მცირეფასიანი ინვენტარის ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის 62 874 (სამოცდაორი ათას რვაას სამოცდათოთხმეტი) კგ. ჯართი, საბალანსო ღირებულება 15 718, 5 (თხუთმეტი ათას შვიდას თვრამეტი ლარი და 50 თეთრი) ლარი განსაკარგავად გადაეცეს სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით შეძენილი ძირითადი აქტივების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის 8 465 (რვა ათას ოთხას სამოცდახუთი) კგ. ჯართი, საბალანსო ღირებულება 2 116, 25 (ორი ათას ას თექვსმეტი ლარი და 25 თეთრი) ლარი განიკარგოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნივერსიტეტის მიერ ელექტრონული აუქციონის წესით;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

**სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)**
**სპიკერი, პროფესორი** **ჯემალ გახოკიძე**